პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

23 აპრილი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 80 (1951) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## შეგახსენებთ!

კვირას, 26 აპრილს, ჩვენს რესპუბლიკაში ჩატარდება მასობრივი ლონისძიებები [illegible] რულის მოყვარულთათვის. [illegible] ყველა, ვინც გამოკლებელ ჯგუფებსა და სპორტულ სექციებში მეცადინეობს. ლონისძიებებში ექიმის ნებართვით მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს.

ადგილებზე სპორტკომიტეტები და ფიზკულტურული ორგანიზაციები დამატებით შეტყობინებას არ მიიღებენ. ლონისძიებები საზეიმო ვითარებაში უნდა ჩატარდეს.

## ზუსტი სროლით ორი მედალი

ბულგარეთში გამართულ მეგობრული არმიების ჩემპიონატში პისტოლეტით სროლაში ორი ჯილდო მოიპოვა თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ნინო სალუქვაძემ. იგი ჩვენი ქვეყნის არმიელთა ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდა. გუნდურ შეჯიბრებაში „პპ-2" ვარჯიშში მან თავის თანაგუნდელებთან ერთად მოაგროვა 1131 ქულა და ოქროს მედალი მოიპოვა. „მპ-5" ვარჯიშში პირად შეჯიბრებაში თბილისელმა მსროლელმა მესამე საპატიო ადგილი დაიკავა.

## ცურვის ახალი სკოლა ბათუმში

ჩვენს რესპუბლიკაში გაიხსნა სპორტული რეზერვის მომზადების კიდევ ერთი კერა — ბათუმში მუშაობა დაიწყო სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის" ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპეციალიზებულმა სკოლამ, რომელიც ამ ქალაქში ნორჩი მოცურავეების აღზრდის ძირითადი ცენტრი იქნება.

ამ დღეებში სკოლას პირველი საპატიო სტუმარი ეწვია — აქ მოიწვიეს ოლიმპიური თამაშების სამგზისა და მსოფლიოს ოცგზის ჩემპიონი ვლადიმერ სალნიკოვი. სალნიკოვი ბათუმში რამდენიმე კვირას დარჩება. აქ იგი მოემზადება მომავალი შეჯიბრებებისთვის და, ამავე დროს, დახმარებას გაუწევს ნორჩ მოცურავეებს.

## დასაწყისი კარგია

წლევანდელი სპორტული სეზონი წარმატებით დაიწყეს საქართველოს ცხენოსნებმა. თუ ტერიტორიული პრინციპის მიხედვით ვიმსჯელებთ, ახალი სეზონის ორი მნიშვნელოვანი წარმატება მხოლოდ აფხაზეთის კოლმეურნე მხედრების წილად მოდის. ჯერ ფინალში გამოსვლის უფლება, შემდეგ კი ჭაბუკთა შორის პროფკავშირების საკავშირო პირველობის ჩემპიონის სახელი მოიპოვა გულრიფშელმა იგორ მამფორიამ (მწვრთნელი ანატოლი მოხირი). სულ ახლახან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა, გუდაუთელმა ხარლამ სიმონიამ.

— ეს იყო ასპარეზობის მთავარი პრიზი, რომელიც ხარლამმა უფროსი ასაკის ცხენებით ასპარეზობაში მოიპოვა (ცხენი „ხერსონი"). ამ წარმატებით ჩვენმა მხედარმა გაიმეორა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი და მყარად დაიმკვიდრა ადგილი სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში, — გვითხრა საქართველოს სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა რევაზ მანჯავიძემ.

ხარლამ სიმონიამ, როგორც ადრე ვიუწყებოდით, ყველაზე ნაკლები — 13 საჯარიმო ქულა მიიღო და სსრ კავშირის თასიც დაისაკუთრა. 13 საჯარიმო ქულა სამი კონკურის ჯამში — შესანიშნავი მიღწევაა! პირველი კონკური (ჩქაროსნული) სიმონიამ 14 წამით წააგო (2 საჯარიმო ქულა). მეორე კონკური უფრო რთული იმით იყო, რომ აქ მხედრებს ერთი და იგივე მარშრუტი ორ გიტად უნდა გაევლოთ. ხერსონმა და მისმა მხედარმა წარმატებით გაართვეს თავი რთულ ამოცანას. გადამწყვეტი კი მაინც მესამე კონკური იყო, სადაც დაბრკოლებათა შორის ორი „სისტემა" იდგა და, საერთოდ, მთელი მარშრუტი ურთულესად ჩათვალეს სპეციალისტებმა.

ხარლამ სიმონიას პირველი მწვრთნელია ლეონ პაპბა. ამ შეჯიბრებაზე კი მისი მწვრთნელი იყო ცხენოსნობაში რესპუბლიკის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი კირიაკ გაშიბაიაზოვი.

## დღეს მეოთხედფინალებია

ქართველმა ჩოგბურთელებმა — დავით კაჭარავამ და ეკა ბოკუჩავამ თბილისში მიმდინარე ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს (ერთეულთა შორის). დ. კაჭარავამ სძლია ბორის კურკინს (სოჭი) — 6:1, 7:5, ხოლო ე. ბოკუჩავამ — ჩეხოსლოვაკიელ ევა მელიხაროვას (7:5, 6:4). გიორგი კუპრეიშვილი დამარცხდა უნგრელ სტეფან სერბაილოსთან (6:4, 4:6, 3:6), დ. კვარაცხელია — სოჭელ სერგეი პონომარიოვთან (2:6, 5:7), ალექსანდრე სიმონიანი — უფელ ანდრეი ჩერკასოვთან (2:6, 4:6), ალექსანდრე ნახაპეტიანი — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ტომაშ ზდრაჟილასთან (1:6, 5:7), ლიკა ტამიროვა — რიგელ უნა ბუშევაცასთან (4:6, 4:6).

მეოთხედფინალის საგზურისათვის ბრძოლაში კაჭარავა — ჩერკასოვის წყვილმა სძლია უნგრელებს რუდოლფ ფეკეტესა და კაროლი კულიტაის — 6:2, 6:1; კვარაცხელიამ და სუმეცმა (მინსკი) დაამარცხეს პოლონელები პაველ დომანსკი და არტურ შოსტაჩკო — 6:1, 6:3. ტამიროვამ და მუჩაიძემ წააგეს მელიხაროვასა და ლუდვიგოვასთან (2:6, 3:6), ბოკუჩავამ და თოხაძემ — კუბელებთან პიჩარდოსა და მონტენსინოსთან (5:7, 7:6, 4:6), ხოლო ნახაპეტიანმა და ტერტერიანმა — ვიდლთან (გფრ) და ზლატოუსტოვთან (სარატოვი) 3:6, 3:6.





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ტურნირის სტუმრები — ბულგარელი პლამენა გოგოვსკა (ზევით) და სიბილა ბაუერმანი (გფრ).**

**ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.**

## კვლავ გაფრინდაშვილი და იოსელიანი

ნონა გაფრინდაშვილი კვლავ წინ მიიწევს. საფრანგეთის ქალაქ იერში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში VII ტურის შემდეგ მსოფლიოს ექსჩემპიონს 6,5 ქულა აქვს. ლიდერს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ნანა იოსელიანი.

## სხვაობა მცირდება

ბრიუსელში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე წამყვან ჯგუფში ბრძოლა შესამჩნევად გამძაფრდა. მას შემდეგ, რაც ლიდერებმა — გარი კასპაროვმა და ლიუბომირ ლიუბოევიჩმა პარტია ყაიმით დაამთავრეს, ხოლო ანატოლი კარპოვმა შავებით ვიქტორ კორჩნოი დაამარცხა, მსოფლიოს ექსჩემპიონი ლიდერებს მიუახლოვდა. IX ტურის შემდეგ კასპაროვს და ლიუბოევიჩს 7-7 ქულა აქვთ, კარპოვს — 5,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მიხეილ ტალს — 5,5, ვიქტორ კორჩნოის — 5, ბენტ ლარსენს — 4,5... IX ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: იან ტიმანი–მიხეილ ტალი — 0,5:0,5, ეუგენიო ტორერიშარ მიულდერსი — 1:0, ლუი ვინანტსი–ბენტ ლარსენი —1:0. ნაიჯელ შორტისა და ჯონ ვან დერ ვილის პარტია გადაიდო.

რესპუბლიკაში საცურაო აუზების უმეტესობა კვლავ უმოქმედოა. დღეს ამ პრობლემაზე გესაუბრებით.

იხ. მე-2 გვ.

## დაჯილდოება

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების საქმეში გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საპატიო ნიშნით დააჯილდოვა საქართველოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს მთავარი ინჟინერი **ვაჟა ევგენის ძე სიხარულიძე.**

რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სპორტსახკომმა საპატიო სიგელით და დიდი სამახსოვრო მედლით დააჯილდოვა გაზეთ „კომუნისტის" სპორტული მიმომხილველი **ჯიმშერ გიორგის ძე ენუქიძე.**



**თბილისის** განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის დარბაზში ჩატარდა საქართველოს პირადი ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. ხალიჩაზე არ გამოსულან ჩვენი საუკეთესო ფალავნები (ისინი საკავშირო ნაკრებში არიან გაწვეულნი), მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების დანარჩენი კანდიდატებისთვის ეს ტურნირი შესარჩევი შეჯიბრება გახლდათ და საინტერესო შეხვედრებიც გაიმართა.

მასალას ამ შეჯიბრების შესახებ ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

● **რომი.** ტრადიციული მრავალდღიანი ველორბოლა „ბეგრამასკის საერთაშორისო კვირა" კიეველმა ვლადიმერ პუნიკოვმა მოიგო. მან 14 წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ სიმფეროპოლელ ვიქტორ კლიმოვს. მესამე ადგილი შვეიცარიელმა კაზიან ფუქსმა დაიკავა.

● **სან-პაულუ.** ბრაზილიის ამ ქალაქში დამთავრდა იუნიორ მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატი. ტურნირის ბოლო ოქროს მედალი საბჭოთა სპორტსმენმა პაველ კოლომკოვმა მოიგო. იგი უძლიერესი იყო დაშნით ფარიკაობაში.

● **ნიუ-იორკი.** ბოსტონის 91-ე ტრადიციულ მარათონში იაპონელმა სტაიერმა ტოსიჰიკო სეკომ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. მანძილი მან 2:11.50-ში დაფარა. მეორე ადგილზე უელსელი სტივ ჯონსი გავიდა, მესამეზე — ინგლისელი ჯეფ სმითი. ქალთა შორის მთავარი პრიზი 28 წლის პორტუგალიელმა როსა მოტამ დაისაკუთრა — 2:25.21.

● **დასავლეთ** ბერლინში ჩატარდა სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის (ფირა) ჩემ-

### ცელეცაიკა - ქაითხველა

პიონატი ჭაბუკთა (18 წლამდე) შორის. ფინალში არგენტინელებმა, რომლებიც პირველად მონაწილეობდნენ ამ შეჯიბრებაში, დაამარცხეს ფრანგი რეგბისტები (15:14) და ჩემპიონობა მოიპოვეს. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა სძლია იტალიელთა გუნდს — 10:9. ჩვენს გუნდში თამაშობდა ქუთაისელი პაატა ძოწენიძე.

● **ამანი.** თორმეტი ქვეყნის 48 ეკიპაჟმა მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო რალიში, რომელიც იორდანიაში გაიმართა. 1200-კილომეტრიანი ტრასის ბოლომდე გავლა მხოლოდ 19 ეკიპაჟმა შეძლო. მათ შორის იყო სამი საბჭოთა ეკიპაჟი „ლადა 2105" მარკის ავტომობილებით. საერთო ჩათვლაში რიუიტელ — ვუნის, ცაუნე — შიმკუსისა და ბრუნზა — დადვანის ეკიპაჟებმა შესაბამისად მეშვიდე, მერვე და მეათე ადგილები დაიკავეს.

პრობლემა ● აქტუალური თემა განსჯისათვის

# შევაჩეროთ აუზების „სიკვდილიანობა“

საქართველოს მოცურავეთა ჩამორჩენის ერთ-ერთ მიზეზად სპეციალისტები ბაზების ნაკლებობას ასახელებენ. ეს იმ დროს, როცა რესპუბლიკაში 150-მდე საცურაო აუზი გვ აქვს, მაგრამ როგორ ვიყენებთ მათ, რა მდგომარეობაშია ისინი? საქართველოს სპორტსახკომმა გადაწყვიტა საგანგებო კომისია გამოეყო ამ აუზების შესამოწმებლად.

რა გვიჩვენა შემოწმებამ? ამის დასადგენად ვესაუბრეთ კომისიის წევრებს: საქართველოს სპორტსახკომის სპორტნაგებობათა სამმართველოს უფროს ინჟინერს არჩილ კეკელიას და თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსის მთავარ ინჟინერს სერგეი ვართანოვს.

კეკელია: როცა ბაზების მდგომარეობას ვსწავლობდით, ტექნიკური და საექსპლოატაციო მონაცემების მიხედვით საცურაო აუზები სამ ჯგუფად დავყავით. პირველ ჯგუფში შევიდა რესპუბლიკის ცხრა 50-მეტრიანი აუზი, რომლებსაც თავიანთი ტექნიკური და სანიტარულ-ჰიგიენური მონაცემების შემწეობით მთელი წლის განმავლობაში შეუძლიათ იმუშაონ. ასეთ აუზებში შესაძლებელია როგორც სასწავლო-საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარება, ისე გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეცადინეობა.

მეორე ჯგუფში 64 აუზი გაერთიანდა, ის აუზები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში მუშაობენ ან შეუძლიათ იმუშაონ. ასეთებად მივიჩნიეთ როგორც 25-მეტრიანი, ისე სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან არსებული მცირე ზომის (12,4X6 მ) აუზები.

მესამე ჯგუფში შევიდა ის აუზები, რომელთაც არა აქვთ წყლის გათბობისა და მისი ქიმიური და მექანიკური ფილტრაციის სისტემა, თანაც ცივი წყლით ცუდად მარაგდებიან და ამის გამო მოსახლეობისთვის სამსახურის გაწევა არ შეუძლიათ. ეს აუზები იმდენად პრიმიტიულნი არიან, რომ მათი რეკონსტრუქციაც კი არამიზანშეწონილია. ასეთი აუზი 50-მდე იქნება. ჩანს სტატისტიკოსებს ისინიც სათვალავში ჩაუგდიათ.

● **გამოდის, რომ თუ იმ 50-მდე აუზს მხედველობაში არ მივიღებთ, რესპუბლიკაში გვქონია 78 კარგი ბაზა, სადაც მუშაობა შეიძლება.**

ვართანოვი: სამწუხაროდ, მოქმედი აუზები თითებზე შეიძლება დაითვალოს. დანარჩენი ან შეფერხებებით მუშაობენ, ან რემონტშია. ამ 64 აუზში ვგულისხმობთ არა მარტო იმ ბაზებსაც, რომლებიც მუშაობენ, არამედ მათაც, რომელთაც შეუძლიათ მუშაობა. მაგალითისთვის შორს არ წავალ. თბილისში 40 აუზია, მაგრამ მათგან მხოლოდ ნახევარი მუშაობს.

● **რა მიგაჩნიათ აუზების ნორმალური, შეუფერხებელი მუშაობის პირობად?**

კეკელია: აუზებს სტაბილურად უნდა ჰქონდეთ ცხელი და ცივი წყალი, ელექტროენერგია, წყლის გასასუფთავებელი ქიმიური და მექანიკური სისტემა. ამ პირობათაგან ერთ-ერთის დარღვევაც კი მნიშვნელოვნად აფერხებს აუზის მუშაობას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს აუზის სწორ ექსპლოატაციას.

სამწუხაროდ, აუზების გათბობა პრობლემად იქცა. ბევრ აუზს, განსაკუთრებით სკოლებისას, საკუთარი გათბობის სისტემა არა აქვს. ალბათ, კარგი იქნება, თუ ამ ბაზებზე ჰელიოდანადგარები დამონტაჟდება. ეს ხელს შეუწყობს თბური ენერგიის შევსებას, აუზებში და საშხაპეებში წყლის ტემპერატურის შენარჩუნებას.

არანაკლებ პრობლემატურია აუზების ცივი წყლით მომარაგების საკითხიც. ბევრ რაიონს წყალს გრაფიკით აწვდიან. არადა, წყლის შესანახი რეზერვუარები მხოლოდ ზოგიერთ აუზს აქვს. ერთი კურიოზული ფაქტი მინდა გავიხსენო: რუსთავის 22-ე საშუალო სკოლის საცურაო აუზს ცხელი კი არა, ცივი წყალიც არასოდეს ჰქონია. სკოლის დირექციამ „გამოსავალი“ იპოვა — საცურაო აუზი... სპორტდარბაზად გადააკეთა.

● **თქვენ ბრძანეთ, აუზების ნორმალური მუშაობისთვის მათი სწორი ექსპლოატაციაა საჭიროო. რას გულისხმობდით?**

ვართანოვი: გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ აუზების მუშაობის შეფერხებას მეტწილად იწვევს არა მათი ტექნიკური გაუმართაობა, არამედ აღჭურვილობის, დანადგარების, მექანიზმების არაკვალიფიციური მოხმარება, წყლის მომზადების მექანიკური და ქიმიურ-ტექნოლოგიური პროცესის ელემენტალური საფუძვლების არცოდნა, სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების იშვიათად ჩატარება... ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ კვალიფიციური კადრები არა გვყავს. ამიტომაა ექსპლოატაციაში გასვლის შემდეგ აუზები მალე რომ საჭიროებენ კაპიტალურ რემონტს.

წყლის გასაწმენდად პრაქტიკულად ყველგან იყენებენ გაზისებურ ქლორს, რომელიც რეზერვუარში საქლორატორო დანადგარ „ლონო-100“-ით შეჰყავთ, მაგრამ აუზები ქლორით ცუდად მარაგდება. კვა-ლიფიციური სპეციალისტები, ... სა... ამ სამუშაოს შესრულება შე-უძლია, თითქმის არა გვყავს.

● **გამოსავალს რაში ხედავთ?**

ვართანოვი: — დღეისთვის მეო... ჯგუფის აუზებში წყლის გასაწმენ... უნდა გამოვიყენოთ სამამულო ... რმოების აპარატ-იონატორები, ... შორის მუდმივმოქმედი სტაციონ... ლური იონატორი „ლკ-28“. პირ... რიგში კვალიფიციური კადრებ... მომზადებაა საჭირო. აუზების ტ... ქნიკური პერსონალისთვის უნდა ... ტარდეს პრაქტიკული მეცადინე... ბები, სემინარები და ა. შ.

კეკელია: ასეთი სპეციალისტ... უნდა მომზადდნენ არა მარტო მ... ქმედი აუზებისთვის, არამედ მშ... ნებარე ბაზებისთვისაც. ამასთა... აუცილებელია აუზების მშენებლო... ბა შეთანხმებული იყოს რესპუ... ლიკის სპორტსახკომის სპორტნ... გებობათა სამმართველოსთან ... „საქსპორტპროექტთან“, სად... მშენებლებს კვალიფიციური სპ... ციალისტები გაუწევენ კონსულტ... ციას. წინააღმდეგ შემთხვევა... „მკვდარი“ აუზების რაოდენო... კიდევ უფრო გაიზრდება.

საუბარი ჩაიწე...
**ავთანდილ გურასაშვილ...**

# თაროზე სამი ბარათია...

**ისტორიული ძეგლები, რომლებიც თავის დროზე განძთსაცავის ფუნქციასაც ასრულებდა, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ამ ძეგლებს მოვლა და მზრუნველობა სჭირდება.**



„რიონს დასავლეთით, მთის ძირს არს ხომლის კლდე, ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით“, წერს ვახუშტი ბატონიშვილი („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“).

ხვამლის მთის უმაღლესი წერტილი 2002 მეტრია.

„ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტერთაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადემი“ (ვახუშტი).

1939 წელს სახელგანთქმულმა მთამსვლელმა ალიოშა ჯაფარიძემ ქუთაისელ ალპინისტებთან ა. იაშვილთან და დ. ობოლაძესთან ერთად ხანგრძლივი იერიშის შემდეგ ციხე-ქვაბულის ბაქანზე შედგა ფეხი, ეს დაზვერვითი ხასიათის ექსპედიცია იყო, 1945 წელს კი საქართველოს ალპიურმა კლუბმა მოაწყო „ხვამლის ექსპედიცია“, რომელშიც მონაწილეობდნენ, დაძმა ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები, ლ. გოთუა, ვ. ბელეცკაია, გ. ლომთათიძე, ალ. ნემსიწვერიძე, ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩი, ე. აბაშიძე, ვ. ნასონოვა, ს. შხვაცაბაია და გ. ჯაფარიძე, ექსპედიციას, ასვლის გარდა, გამოქვაბულის არქეოლოგიური შესწავლა და გაწმენდა ჰქონდა მიზნად დასახული. ჯგუფის წევრებს ხვამლის ციხე-ქვაბული, რომელზეც მემატიანე წერდა „ქვეყანა როდესაც დაიმშეს, ხვამლმა არჩინოს“, პირწმინდად გამოცარიელებული დახვდათ. არქეოლოგიური გათხრების ჩატარების შემდეგ გაირკვა, რომ მეფეთა საგანძური დიდი ხნის წინათ გაუტანიათ აქედან.

ორმოცდაერთი წლის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძის მიერ მოწყობილ ექსპედიციას გაჰყვნენ ახალგაზრდები: თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი რეზო შალიბაშვილი, ქხატვარი რამაზ კორშია, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ლერი გაბელია და ინჟინერ-ავტომექანიკოსი გია ნადარეიშვილი.

— ხვამლის მღვიმეში შეღწევაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, — გვიამბობს რეზო შალიბაშვილი, — 1984 წლის ივლისში ჩემს მეგობარ გია ბადრიძესთან ერთად მღვიმეში ასვლა ვცადე, მაგრამ ნისლმა უკან დაგვაბრუნა. იმავე წელს ხელმეორედ ვცადეთ ბედი და მღვიმისკენ მიმავალ გზაზე თვალი მოვკარი კლდეში ჩაშენ ციხეს, რომლის შესახებ მანამდე არაფერი ვიცოდით. ამან ციხე-ქვაბულში ასვლის სურვილი აღგვიძრა. გამახსენდა ქართველი მწერლის ლევან გოთუას წერილიც, რომელიც მან ხვამლის ექსპედიციიდან დაბრუნების შემდეგ დაწერა:

„დედო ქვაბულის ერთ თახჩაში კოლოფი ჩავდე, შიგ ჩვენი წერილი მომავალი თაობისადმი. ჩვენი ვინაობა, თარიღი. ამოსვლის მიზანი და ასე შემდგომ. ვინ იცის, აწ რომელ საუკუნეში აქ კვლავ ამოვლენ ჩვენი შემდეგნი და ჩვენს წერილსა და საქმეს თავისით შესცვლიან, რამესაც შეჰმატებენ“. შემდეგნი ჩვენ ვიყავით, გამოქვაბულში ცნობისმოყვარეობის გარდა მოგზაურობისა და ისტორიული ძეგლების სიყვარულმა აგვიყვანა.

ხვამლის გამოქვაბულში ასულთ თაროზე ორი ბარათი დახვდათ, ერთი — „ხვამლის ექსპედიციის“ წევრის გოგი ლომთათიძის მიერ დაწერილი, მეორე — ქუთაისის პიონერთა სახლთან არსებული ტურისტული წრის წევრებისა, რომლებიც ციხე-ქვაბულში 1945 წლის 10 ივლისს ავიდნენ ალ. ჯაფარიძის, გ. ჯაფარიძის და ალ. ნემსიწვერიძის ხელმძღვანელობით.

— გამოქვაბულის ჩრდილოეთის კედლიდან წყალი წვეთავს. — განაგრძობს შალიბაშვილი. — იატაკი ჭერიდან და კედლებიდან ჩამოცვენილი ქვა-ღორღითაა დაფარული. კედლის მოხატულობა თითქმის მთლიანად დაზიანებულია, საშინელ დღეშია ქართველ მეფეთა „განძთსაცავი“...

ისტორიული ძეგლები, რომლებიც თავის დროზე განძთსაცავის ფუნქციასაც ასრულებდა, საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია, ამ ძეგლებს მოვლა და მზრუნველობა სჭირდება.

„დრო კი მიდის, მიიხარჯება და ბევრი რამ იშლება, იკარგება დაუბრუნებლივ“, წერდა „ხვამლის ექსპედიციიდან“ დაბრუნებული ლევან გოთუა.

ახლა ხვამლის ციხე ქვაბულის თაროზე სამი ბარათი დევს.

**მანანა ბიძინაშვილი.**

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზემოთ — ხვამლის ციხე-ქვაბული; ქვემოთ, მარცხნივ — ხვამლის მთის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანი; „ბოგას“ ყინულის მღვიმე.**

**რევაზ შალიბაშვილის ფოტოები.**





საქართველოს თასის გათამაშება ბადმინტონში

# კვლავ თბილისელები...

**ეს** შეჯიბრება ქუთაისში გაიმართა. აქ რესპუბლიკის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. სარბიელზე მხოლოდ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, ევროპის იუნიორთა წლევანდელი გუნდური პირველობის ვერცხლის პრიზიორი ინგა ბერიძე ვერ ვიხილეთ. შეჯიბრებაში, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა, მონაწილეობდა ქალთა და ვაჟთა 8-8 გუნდი. სამ-სამი გუნდი გამოიყვანეს თბილისელებმა („ბურევესტნიკი“ I, II და „ბურევესტნიკის“ კომპლექსური სპორტული სკოლის გუნდი) და ბათუმელებმა („ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“ და განათლების განყოფილების სპორტული სკოლის კოლექტივი), ორი გუნდით წარსდგნენ მასპინძლები („განთიადი“ და განათლების განყოფილების სპორტული სკოლის ნაკრები). წინასწარ შეჯიბრებებში ვაჟთა შორის ყველა შეხვედრა მოიგეს „ბურევესტნიკი“-I და კომპლექსური სკოლის ბადმინტონისტებმა. პირველმა მშრალი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ბათუმის განათლების განყოფილების და „განთიადის“ გუნდები, ხოლო მეორემ კი (ასევე მშრალი ანგარიშით — 3:0 თბილისელ (მეორე გუნდი) და ბათუმელ ბურევესტნიკელებს სძლია.

ქალთა შეჯიბრებაშიც „ბურევესტნიკის“ პირველი გუნდის სპორტსმენებმა იმარჯვეს, მათ მოუგეს ბათუმის და ქუთაისის განათლების განყოფილების ბადმინტონისტებს 3:0. მეორე ფინალისტმა — ბათუმის „ბურევესტნიკმა“ დაამარცხა „სპარტაკი“ (3:0) და „განთიადი“ (3:...

ფინალში, როგორც ვაჟთა ი... ქალთა შორის, საკმაოდ დაძაბუ... ბრძოლა გაიმართა. საქართველო... ბადმინტონისტთა ლიდერმა დავ... კავილაძემ, რომელიც „ბურევეს... ნიკის“ I გუნდში გამოდიოდა, მ... უხედავად იმისა რომ, მშრალი ა... გარიშით დაამარცხა კომპლექსუ... სპორტული სკოლის გუნდის წევ... ები იგორ იუროვი და აკაკი ბრ... გვაძე, მძიმე ბრძოლა გადაიტა... იგივე ითქმის დავითის თანაგუნდე... გია ჯანელიძისა და იუროვის შ... ვედრაზე, რომელიც ანგარიშით 2... ბურევესტნიკელმა სპორტსმენმა მ... იგო.

ალა არშუკოვამ და ირინა ბუხ... იძემ შესაბამისად სძლიეს ბათუმე... მაია დარჩიას (2:0) და მაია ვარშ... ნიძეს (2:1). შემდეგ დარჩიამ მ... უგო ბუხაიძეს. საბოლოო გამარჯვე... ბის ქულა მოიპოვა არშუკოვა... რომელმაც კვლავ მშრალი ანგარ... შით 2:0 დაამარცხა ვარშანიძე.

მაყურებელს კარგი თამაში უჩვე... ქუთაისის განათლების განყოფი... ების გუნდის წევრმა, სპორტის ო... ტატობის კანდიდატმა ელისო მ... გველაძემ (მწვრთნელი ოთარ ... ზიანიძე). მან ერთეულთა შეხვე... რებში ყველა თამაში მოიგო ... დაამარცხა ისეთი ძლიერი მეტო... ები, როგორიცაა ალა არშუკოვა ... ირინა ბუხაიძე, თუმცა შემდ... წყვილთა ასპარეზობაში დამარცხ... და ფინალს მიღმა დარჩა.

**ჯემალ კასრაძ...**

# ორი ღია ტურნირი

**თბილისში** დამთავრდა 1974 წელს და უფრო გვიან დაბადებულ ჩოგბურთელთა ღია რესპუბლიკური პირველობა, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ მოსკოველი, დონეცკელი, ოდესელი, ზაპოროჟიელი, სოჭელი ჩოგბურთელები. ჭაბუკთა ფინალში თბილისელმა ბექარ ძაგანიამ ოდესელ ვლადიმერ ბარანოვს სძლია (7:5, 7:6), მესამე ადგილი დაიკავა სოჭელმა იგორ კაფელნიკოვმა. ბარანოვმა და კაფელნიკოვმა ჩემპიონობა მოიპოვეს წყვილთა თანრიგში — გადამწყვეტ შეხვედრაში სძლიეს გიორგი ტყემალაძესა და მიხეილ მღებროვს (6:4, 6:7, 7:6), მესამე ადგილზე გავიდა პავლე მიდელაშვილისა და ბექარ ძაგანიას წყვილი.

გოგონათა შორის უძლიერესი იყო დონეცკელი ნატალია სუხოვა, რომელმაც ფინალში მოუგო მოსკოველ სვეტლანა სტრე... ცოვას (6:3, 6:4). მესამე ადგი... მოიპოვა თბილისელმა ნინო ქა... რავამ. წყვილებში ყველას აჯობ... სტრელცოვამ და სუხოვამ, რომლ... ებმაც ფინალში აჯობეს თამრი... ბერიძესა და ნინო ქაცარავას. მ... სამე ადგილზე გავიდნენ ქეთინო ... ხმიგერი და ანა გასპარიანი.

**ალექსანდრე ლეგანი...**

• • •

**ერევანში** დამთავრდა სომხეთ... ღია პირველობა ქალთა ერთეულ... თანრიგში. თბილისელმა სპორტ... ოსტატმა ირინე მალაციძემ ფინა... ლში — ერევნელ ლარისა ოვსეფ... ანთან წააგო. წყვილთა შორის ... მასთან ერთად გაიმარჯვა. ვაჟ... შეჯიბრებაში გიორგი მირიანაშ... ლმა მესამე ადგილი დაიკავა.

**არტურ მალაიანი...**
**საკავშირო კატეგორიის მსა...**

ფეხბურთი

## ევროპის საკლუბო ტურნირები

### ფინალში „პორტო“ გავიდა

**გუშინ** კიევში გაიმართა ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის საპასუხო ნახევარფინალური მატჩი, კიევის „დინამომ“ მიიღო პორტუგალიის ქალაქ პორტუს „პორტო“ (ამ ეტაპის პირველი შეხვედრა „პორტოს“ შინ მოგებული ჰქონდა ანგარიშით 2:1).

ასეთივე ანგარიშით (2:1) გაიმარჯვეს პორტუგალიელებმა კიევშიც.

### ფედერაციის თასზე

21 აპრილს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშების I ტურის ბოლო მატჩი. მინსკის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ალმა-ათის „ქაირათი“.

## როცა გამონაკლისი ცუდი პრეცედენტია

**სპორტში შეჯიბრების დებულება კანონის ძალის მქონე დოკუმენტია. რაკი სათამაშო განხჯა-განხილვის შემდეგ რაიმე დებულებად ჩამოყალიბდება და დამტკიცდება, მერე მისი დარღვევის უფლება არავის აქვს, თუკი, ცხადია, ისევ ის ორგანო არ შეიტანს ცვლილებას ან სულ არ გააუქმებს, ვინც დებულება დაამტკიცა. ეს აქსიომაა. ასე იყო მუდამ და ასე იქნება მომავალშიც.**

დღეს ერთ კონკრეტულ საკითხზე — ფეხბურთში საქართველოს პირველობის დებულებაზე გვექნება საუბარი. იყო დრო, უპატივცემლოდ ვექცეოდით ამ სახელმძღვანელო დოკუმენტს. არც ისაა დასამალი, რომ დებულების გვერდის ავლით უამრავი გამონაკლისის დაშვებამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს ფეხბურთს. ახლა კი, როცა ცხოვრების ყველა სფეროში ვიბრძვით დისციპლინისა და წესრიგის დამყარებისათვის, არც სპორტი და, კერძოდ, ფეხბურთის პრობლემები რჩება უყურადღებოდ.

არავითარი გამონაკლისი! — ითქვა და პრინციპულად ვიცავთ ამ გეზს, თუმცა ზოგიერთი (მათ შორის, ესა თუ ის რეგიონიც) შეუპოვრად მოითხოვს დათმობას და შეღავათს ფეხბურთელთა ადგილობრივი გუნდის მიმართ. ამ მხრივ არც წლევანდელი საფეხბურთო სეზონი ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ პრინციპისთვის არავის გადაუხვევია. და მაინც... გორის „ქართლის“ ფეხბურთელთა გუნდში ამას წინათ ითამაშა გ. ბოლოთაშვილმა, ფეხბურთელმა, რომელიც, მართალია, გორში დაიბადა და აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ რამდენიმე წელიწდის წასული იყო გორის რაიონიდან — თამაშობდა მახარაძის რაიონის გუნდებში („გიგანტი“, მერცხალი“). არც ძველი (ვთქვათ, რომ 1986-90 წლების დებულება ძველია, რადგან 1987 წლისთვის ახალი დამტკიცდა) და არც ახალი დებულება „ქართლის“ ხელმძღვანელობას გუნდში ბოლოთაშვილის აყვანის პირდაპირ უფლებას არ აძლევდა. გუნდის ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა რესპუბლიკის სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველოს მიაკითხა..: მოქმედი დებულება კრძალავს გუნდში ახალი წევრის აყვანას, თუ კონკრეტულ რაიონში ან ქალაქში იგი სამი წლის ჩაწერილი მაინც არ არის. ბოლოთაშვილი კი წელს ის-ის იყო მახარაძიდან დაბრუნდა გორის რაიონში. მაშ, რატომ დაუშვეს გამონაკლისი?

ფეხბურთის სამმართველოს პასუხისმგებელ მუშაკებს (სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დ. კვინიკაძე, მასობრივი ფეხბურთის განყოფილების უფროსი მწვრთნელი ჯ. ანთიძე), როგორც თავად აცხადებენ, სურდათ დახმარებოდნენ სპორტსმენს, რომელიც თავის რაიონში დაბრუნდა საცხოვრებლად. ვინ იტყვის, რომ ამ სურვილში რაიმე საძრახისი იყოს, მაგრამ როცა სურვილი ჩვენს მიერვე დადგენილ წესსა და პრინციპებს ეწინააღმდეგება, არ უნდა ვიჩქაროთ გადაწყვეტილების გამოტანა. მეტიც, სამმართველოს ზემოხსენებულმა მუშაკებმა არც თუ სპორტსახკომის ხელმძღვანელობას არ აცნობეს თავიანთი გადაწყვეტილება, ფეხბურთის სამმართველოს მასობრივი ფეხბურთის განყოფილების გამგესაც არაფერი აცნობეს (?!).

ასეთია ამ გამონაკლისის მოკლე ისტორია; გამონაკლისისა, იმ გუნდების სამართლიანი გულისწყრომა რომ გამოიწვია, რომლებსაც თავის დროზე დებულების დარღვევის უფლება არ მისცეს.

**რედაქციისაგან:** რესპუბლიკის სპორტსახკომს იმ დარღვევის შესახებ, რომელზეც ზემოთ გიამბეთ, ცნობა გაგრელმა ენთუზიასტმა მიაწოდა. ეს ერთხელ კიდევ მეტყველებს იმაზე, რომ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ ფეხბურთში საქართველოს პირველობის ჩატარებაში სრული წესრიგის დასამყარებლად. იმედია, ასეთი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდება.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.**

### I ჯგუფი

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „ივერია“ (ხაშური) 4:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: მარღიევი, ხუბეჯიშვილი-3 („სპარტაკი“), ოსაძე („ივერია“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:0. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლი: აფხაზავა („სქური“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს წალენჯიხელი ფეხბურთელი ჯ. ქარდავა და ხობელი პ. გვათუა.

ამ მატჩში მოხდა სხვა უმსგავსოებაც: წალენჯიხელი ნ. ჩიკინოვი და ხობელი ო. გვიჩიანი უხეშად წაეკიდნენ ერთმანეთს, რისთვისაც მსაჯმა ორივენი მინდვრიდან გააძევა.

**„მადნეული“ (ბოლნისი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 7:1. მსაჯი გ. ხეჩუაშვილი (თბილისი).** გოლები: ჯაფარიძე, ფოფხაძე, გაბიძაშვილი, ჯაგოვი, დოლიძე, მუშკუდიანი-2 („მადნეული“), შამათავა („ამირანი“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „დინამო“ (გაგრა) 2:0. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: სვანაძე, იობიძე („შადრევანი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დინამოელი ფეხბურთელები ქ. პაჭკორია და ა. სიჭინავა, აგრეთვე, წყალტუბოელი ვ. მუშკუდიანი.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „არმაზი“ (მცხეთა) 0:1. მსაჯი ზ. ჯინჭარაძე (მახარაძე).** გოლი: გამყრელიძე („არმაზი“).

**„დინამო“ (ზუგდიდი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:0. მსაჯი მ. მაღლაფერიძე (ქუთაისი).** გოლები: ჯიქია, შეროზია, ვ. თუთბერიძე-2 („დინამო“).

დროის განზრახ გაყვანისთვის გააფრთხილეს რ. თაბაგარი („საპოვნელა“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: დადუნაშვილი, ხუჯაძე, წითელაშვილი, კიკნაძე („მეტალურგი“).

ერთმანეთის მიმართ უხეში თამაშის გამო გააფრთხილეს გ. ხუჯაძე („მეტალურგი“) და გ. მოსეშვილი („იმერეთი“).

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) 3:1. მსაჯი გ. ხეფიაშვილი (თბილისი).** გოლები: ტაბატაძე, იორამაშვილი („ქართლი“), რეხვიაშვილი („იმედი“-„დინამო“-2) საკუთარ კარში, ამიბიძე („იმედი“-„დინამო“-2).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „ქართლის“ ფეხბურთელი ჯ. გაგნიძე.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:2. მსაჯი ი. შალამბერიძე (თბილისი).** გოლები: ჩხაიძე, თოფურიძე-2 („მერცხალი“), ბალუშვილი, კუპრეიშვილი („ეგრისი“).

**„სალხინო“ (გეგეჭკორი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).** გოლები: ლაგვილავა, ბართაია („სალხინო“), მებუკე (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 3:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: მ. ახალაია, ქავთარაძე, ციმაკურიძე („სამეგრელო“).

**„კახეთი“ (თელავი) — „სულორი“ (ვანი) 0:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლი: სულაბერიძე („სულორი“).

განზრახ დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს ვანელი ფეხბურთელი ო. გეფერიძე.

### გადატანილი მატჩი

**„იმედი“-„დინამო“-2 (თბილისი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:3. მსაჯი მ. კობიაშვილი (თბილისი).** გოლები: ჰკუასელი, ქეცბაია, კაველაშვილი („იმედი“-„დინამო“-2), ხუბეჯიშვილი, ჩოჩიევი-2 („სპარტაკი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ი. ჯიოევი („სპარტაკი“).

### II ჯგუფი

#### I ქვეჯგუფი

„ფოსტამტი“ (თბილისი) — უნივერსიტეტი (თბილისი) 1:2, „ვარდისუბანი“ (ლაგოდეხის რ-ნი) — „სამგორი“ (გარდაბანი) 2:1, „სინათლე“-„ინტერნატი“ (თბილისი) „თუშეთი“ (ქვემო ალვანი) 0:2, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი) — „მიონი“-35 (თბილისი) 2:0, „მეტალისტი“ (რუსთავი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:1, სასწავლო-საცდელი მეურნეობა (მუხრანი) — „ქიზიყი“ (სიღნაღი) 2:1, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „მშენებელი“ (რუსთავი) 1:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:0.

ახმეტის „ბახტრიონი“ სათამაშოდ არ ჩავიდა საგარეჯოში, რის გამოც მას „გარეჯთან“ დამარცხება ჩაეთვალა.

#### II ქვეჯგუფი

„არაგვი“ (დუშეთი) — „განთიადი“ (კასპი) 2:0, „მარაბდა“ (კოდა) — „მეავეჯე“ (ახალდაბა) 1:0, „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „თორი“ (ბორჯომი) 1:4, „კოლმეურნე“ (მარნეულის რ-ნი) — „თრიალეთი“ (წალკა) 3:0, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ფარძია“ (ასპინძა) 2:1, „აბული“ (ახალქალაქი) — „განთიადი“ (დმანისი) 7:1, „ალგეთი“ (მარნეული) — „ბაგიათი“ (ჯავა) 3:0.

#### III ქვეჯგუფი

„იბერია“ (ქარელი) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 0:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „მამისონი“ (ონი) 3:1, „ზანა“ (აბაშა) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 5:2, „მეშაქრე“ (აგარა) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:2, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 2:0, „ჰოგნარი“ (თერჯოლის რ-ნი) — „ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) 1:1.

#### IV ქვეჯგუფი

„დვაბზუ“ (მახარაძე) — „დინამო“-2 (ბათუმი) 2:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:1, „განთიადი“ (გაგრა) — უნივერსიტეტი (სოხუმი) 0:1. „მზიური“ (გალი) — „სუბტროპიკი“ (სოხუმი) 3:0, „ალიონი“ (გალის რ-ნი) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 1:1, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „მეშახტე“ (ტყვარჩელი) 1:0, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „ნარინჯი“ (გონიო) 5:0, „ნარინჯი“ (ქობულეთი) — „დარჩელი“ (ზუგდიდის რ-ნი) 2:1.

### გათამაშების ცხრილი

#### I ჯგუფი

მდგომარეობა 23 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სამეგრელო“ | 8 | 6 | 1 | 1 | 16-6 | 13 |
| „სქური“ | 8 | 5 | 3 | 0 | 17-4 | 13 |
| „შადრევანი“ | 8 | 6 | 0 | 2 | 15-8 | 12 |
| „მერცხალი“ | 8 | 4 | 4 | 0 | 13-4 | 12 |
| „სალხინო“ | 8 | 3 | 5 | 0 | 10-7 | 11 |
| „კოლხეთი“ | 8 | 4 | 2 | 2 | 11-7 | 10 |
| „მეტალურგი“ | 8 | 4 | 1 | 3 | 16-10 | 9 |
| „საპოვნელა“ | 8 | 4 | 1 | 3 | 11-12 | 9 |
| „ქართლი“ | 8 | 3 | 3 | 2 | 10-7 | 9 |
| „დინამო“ გ. | 8 | 3 | 3 | 2 | 9-6 | 9 |
| „ეგრისი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 13-11 | 8 |
| „სპარტაკი“ | 8 | 3 | 2 | 3 | 13-12 | 8 |
| „დინამო“ ზ. | 8 | 2 | 4 | 2 | 13-8 | 8 |
| „იმ.“-„დინ.“-2 | 8 | 2 | 4 | 2 | 11-12 | 8 |
| ფიზკ. ინს. | 8 | 2 | 4 | 2 | 8-9 | 8 |
| „სულორი“ | 8 | 2 | 4 | 2 | 6-8 | 8 |
| „ამირანი“ | 8 | 3 | 1 | 4 | 6-16 | 7 |
| „მადნეული“ | 8 | 2 | 2 | 4 | 13-11 | 6 |
| „კახეთი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 12-15 | 6 |
| „არმაზი“ | 8 | 2 | 2 | 4 | 7-15 | 6 |
| ახ. საფ. სკ. | 8 | 2 | 0 | 6 | 8-21 | 4 |
| „დურუჯი“ | 8 | 1 | 2 | 5 | 4-11 | 4 |
| „იმერეთი“ | 8 | 0 | 3 | 5 | 6-18 | 3 |
| „ივერია“ | 8 | 0 | 1 | 7 | 6-16 | 1 |

## ისევ აეკ-ი

**ბერძენი გულშემატკივრები სიამოვნებით არ მოიგონებენ 1986 წელს. შარშან ორი ფეხბურთის მოყვარული დაიღუპა.**

სალონიკის პაოკ-ის 17 წლის გულშემატკივარი სასიკვდილოდ დაჭრა აეკ-ის ქომაგმა, 20 წლის ჯარისკაცმა. ეს მოხდა ამ ორი გუნდის შეხვედრის წინა ღამეს.

ამ შემთხვევამდე ორიოდე თვით ადრე კი პაოკ-ის გულშემატკივარმა ამ გუნდების საჩემპიონატო მატჩის წინ მოკლა „ლარისას“ 29 წლის გულშემატკივარი.

ძალადობის და უხეშობის ზრდამ, როგორც საფეხბურთო მინდვრებზე, ისე მის გარეთ, სტადიონებზე მაყურებელთა რიცხვის მკვეთრი შემცირება გამოიწვია. მაგალითად, ზემოთ ნახსენები მკვლელობის შემდეგ პირველი ლიგის რვა შეხვედრას 80 000-ზე ნაკლები მაყურებელი დაესწრო, აეკ-ისა და პაოკ-ის მატჩს კი, ათენის ოლიმპიურ სტადიონზე — მხოლოდ 18 349 კაცი.

ამასობაში პირეის „ოლიმპიაკოსმა“ სამ ქულამდე გაზარდა სხვაობა მეორე ადგილზე მყოფ კრეტის ოფი-სთან, მას შემდეგ, რაც 3:1 დაამარცხა სმირნის გუნდი. ჰეთ-თრიკი გააკეთა ნიკოს ანასტოპულოსმა.

„ოლიმპიაკოსს“ შეუძლია ჩემპიონიც გახდეს და თასიც მოიპოვოს“ — თქვა ანასტოპულოსმა, ლიგის წამყვანმა ბომბარდირმა, რომელმაც სამივე ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა. „ჩვენი გუნდი ლიგაში საუკეთესოა, ჩვენ არავისი გვეშინია. ბოლოს და ბოლოს ჩვენმა გულშემატკივრებმაც ხომ უნდა გაიხარონ“.

ოფი გასული სეზონიდან მოყოლებული, როცა ათენში ანგარიშით 1:0 დაამარცხა ადგილობრივი აეკ-ი, მეორე ტაიმში გრიგორის პარალამბიდისის მიერ თავით გატანილი გოლით კვლავ ანცვიფრებს მეტოქე კლუბებს.

„ყველას ვუჩვენეთ, რომ შეგვიძლია ამ სეზონში ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ მეტოქეებს — თქვა პარალამბიდისმა. მართალია, ბოლო დროს ათენის აეკ-ს ცოტა უჭირს თამაში, მაგრამ ის მაინც რჩება ქვეყნის წამყვან კლუბად, რაც ფასს უზრდის მათ მინდორზე მოპოვებულ ჩვენს გამარჯვებას. ვფიქრობ, ოფი-ს გამარჯვება ჩემპიონატში კანონზომიერი იქნება, თუმცა მიმაჩნია, რომ პირველ ადგილს მაინც აეკ-ი დაიკავებს. მას გაცილებით მეტი გულშემატკივარი ჰყავს და მეტი ფინანსური შესაძლებლობაც აქვს“.

აეკ-ს კვლავ აკლია საუკეთესო სნაიპერი თომას მავროსი, რომელსაც ფეხი ჰქონდა დაშავებული და თითქმის მთელი სეზონის მანძილზე არ უთამაშია. „ჩვენ ძალიან კარგად ვეთამაშეთ ოფი-ს, თუმცა მაინც დავმარცხდით. ჩემპიონატში გამარჯვებისათვის უფრო ძლიერი თამაში გვმართებს. —თქვა აეკ-ის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ალბერტ ფაფიმ, რომელსაც მწვრთნელის პოსტზე აეკ-ში დიდი დღე არ უწერია.

გასული წლის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა „პანათინაიკოსმა“ მხოლოდ მეოთხედ იზეიმა გამარჯვება ამ ჩემპიონატში — მოუგო პირეის „ეთნიკოსს“.

საკუთარ მოედანზე, 9000 გულშემატკივრის წინაშე „პანიონიოსმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა და ლიგის თასის გათამაშებიდან გამოთიშა აეკ-ი. გოლი 118-ე წუთზე გაიტანა „პანიონიოსში“ მოთამაშე ინგლისელმა გერი ოუენმა, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ ყოფილმა ნახევარმცველმა. ოუენმა თქვა, რომ ეს იყო მეოთხე გოლი, რომელიც მან ათწლიანი საფეხბურთო კარიერის მანძილზე თავით გაიტანა. მატჩის შემდეგ, ოუენს ალტაცებული შეეგებნენ გულშემატკივრები.

**მირიან გარდაველიძე.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

### დამარცხებით დაიწყო...

საკავშირო ჩემპიონატის ლენინგრადის ტური თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელ ვაჟთა გუნდმა — ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან ანგარიშით 13:21 წააგო.

მინსკის არმიელებმა სძლიეს კიეველ თანაკლუბელებს — 22:11, კაუნასის „გრანიტასმა“ — კრასნოდარის სკიფ-ს — 24:23, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა — ლენინგრადის „ნევას“ — 23:22, ცსკა-მ — ტირასპოლის სპორტულ კლუბს — 29:19. ჩელიაბინსკის „პოლიოტისა“ და ასტრახანის „დინამოს“ შეხვედრა ფრედ — 24:24 დამთავრდა.

## კალათბურთი

### ხუთი წლის შესვენების შემდეგ

**იუგოსლავიის** კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატის მთავარი სენსაცია გახლდათ ის, რომ ევროპის ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა კლუბმა, ზაგრების „ციბონამ“ ვერ გაიკვლია გზა ფინალისაკენ. ჩემპიონის სახელი ხუთწლიანი შესვენების შემდეგ ბელგრადის „პარტიზანმა“ დაიბრუნა. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ორჯერ დაამარცხა ასევე ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“.

„პარტიზანი“ მომავალ სეზონში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში იასპარეზებს.

## „სპორტპროგნოზის“ შედეგები (მე-15 ტირაჟი)

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ მე-15 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 12-14 აპრილს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 6.614.538 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (536) მოგებამ 208 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (14.794) — 14 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (134.691) — 5 მანეთი.

მე-15 ტირაჟის მოგებათა განაღდება მოხდება 1987 წლის 5 მაისიდან 5 ივნისამდე.

„სპორტპროგნოზის“ მომდევნო, მე-16 ტირაჟის შედეგები 30 აპრილს გამოქვეყნდება.

## წყალბურთში საქართველოს ჩემპიონატის წინ

# რას მოგვიტანს სიახლე?

**დღეს** ქუთაისში იწყება წყალბურთელთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც წელს განსხვავებული წესით ტარდება. ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელს წყალბურთში ჯიმშერ თორთლაძეს.

— დიახ, წლევანდელი ჩემპიონატი სხვაგვარად ტარდება, გვითხრა მთავარმა მწვრთნელმა. — წინათ შეჯიბრება ერთ ქალაქში იმართებოდა და რამდენიმე დღეში მთავრდებოდა. ამჯერად კი ასპარეზობა სამ ტურად მოეწყობა და სექტემბერში დამთავრდება, თანაც, თითოეული ტურის მატჩებს სხვადასხვა ქალაქი უმასპინძლებს.

● **სარბიელზე რომელი გუნდები გამოვლენ?**

— შეჯიბრების მონაწილენი ქვეჯგუფებად დავყავით. პირველ ჯგუფშია თბილისის ასკ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი, რუსთავის „ფოლადი“ და ბათუმის „დინამო“, მეორე ჯგუფში — თბილისის უნივერსიტეტი, ქუთაისის განათლების განყოფილების, საქართველოს განათლების სამინისტროსა და სოხუმის „დინამოს“ გუნდები. ეს კოლექტივები პირველ ტურში თავიანთ ქვეჯგუფებში გამართავენ შეხვედრებს, მეორე ტურში კი, რომელიც სოხუმში ჩატარდება, პირველი ქვეჯგუფის წარმომადგენლები მეორისას შეხვდებიან I-IV და V-VIII ადგილისთვის მებრძოლი გუნდების ვინაობის გასარკვევად, რომლებიც თავის მხრივ სექტემბერში იასპარეზებენ ბათუმში.

● **რას მოგვცემს ჩემპიონატის ახალი წესით ჩატარება?**

— ჯერ ერთი, შეჯიბრების მონაწილე გუნდებს გაცილებით მეტჯერ მოუწევთ თამაში, რაც მათ ოსტატობის დახვეწასა და გამოცდილების შეძენაში დაეხმარება, მეორეც, სხვადასხვა ქალაქებში შეჯიბრების გამართვა წყალბურთის პოპულარიზაციას შეუწყობს ხელს.

**საუბარი ჩაიწერა**
**ავთანდილ ჟუჟუნაშვილმა.**

---

### მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში

## სიურპრიზებს რა გამოლევს?

**ჰოკეისტთა** მსოფლიო ჩემპიონატის ყოველი ტურის ერთი ან ორი შეხვედრა, როგორც წესი, მოულოდნელი შედეგით მთავრდება. მეოთხე ტურში სიურპრიზი ისევ გფრ-ის ნაკრებმა შემოგვთავაზა. წინა თამაშში მან ფინეთის საკმაოდ ძლიერ გუნდს მოუგო (3:1), გუშინწინ კი გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი — კანადა დაამარცხა 5:3.

ტურის ცენტრალური მატჩი საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა შეხვედრა იყო. სპეციალისტთა უმრავლესობა ამ ორთაბრძოლაში უპირატესობას საბჭოთა ნაკრებს ანიჭებდა, მაგრამ ასეთ იოლ და დამაჯერებელ გამარჯვებას ცხადია, არავინ მოელოდა. ჩეხებმა სერიოზული მეტოქეობა ჩვენს გუნდს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწიეს, რომელიც ფრედ (0:0) დამთავრდა. ბრძოლის ბედი ფაქტიურად შესვენების შემდეგ გადაწყდა. მეორე პერიოდი სსრ კავშირის ნაკრებმა 3:0 მოიგო. მესამე პერიოდში ანგარიში ჯერ ოთხამდე გაიზარდა. ჩეხოსლოვაკიელებმა მხოლოდ ამის შემდეგ გაქვითეს ერთი შაიბა, მაგრამ მატჩის დასასრულამდე კიდევ ორი გაუშვეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 1:6.

ტურის სხვა ორი მატჩიდან აღსანიშნავია ფინელთა გამარჯვება აშშ-ის ნაკრებზე 5:2. შვეციამ ადვილად აჯობა შვეიცარიას — 12:1.

ოთხი ტურის შემდეგ გუნდები გათამაშების ცხრილში ასე განაწილდნენ:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 4 | 0 | 0 | 37-8 | 8 |
| შვეცია | 4 | 3 | 0 | 1 | 23-6 | 6 |
| კანადა | 4 | 2 | 1 | 1 | 13-8 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 2 | 1 | 1 | 10-11 | 5 |
| ფინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 11-12 | 4 |
| გფრ | 4 | 2 | 0 | 2 | 8-14 | 4 |
| აშშ | 4 | 0 | 0 | 4 | 7-25 | 0 |
| შვეიცარია | 4 | 0 | 0 | 4 | 9-34 | 0 |

---

### რენძიუ

# კონკურსი გრძელდება!

**გთავაზობთ II ტურის შედეგებს:**



დიაგრამა № 4

**დიაგრამა № 4.** პირველი სვლით შავები ქიშს უცხადებენ თეთრებს, რომელთა მე-2 სვლა შავებს შესაძლებლობას აძლევს გააკეთონ მე-3 სვლა, რადგანაც ეს უკვე აღარ იქნება ფოლი (3X3).

შემდეგი სვლები ცალსახადაა განსაზღვრული. მე-9 სვლით შავები ქმნიან ღია ოთხეულს, რომელიც შემდეგი სვლით ან ერთ, ან მეორე მხარეს ხუთეულში გადადის.



დიაგრამა № 5

**დიაგრამა № 5.** 2 და 4 სვლები თეთრებისათვის ნებისმიერია. მე-5 სვლით წარმოქმნილი ქიში (ე. ი. ოთხეული) იხურება მე-6 სვლით. რადგან შავებს „ა“ პუნქტზე აღარ შეუძლიათ თამაში, იმის გამო, რომ წარმოიქმნება გრძელი მწკრივი (ე. ი. 6 ქვისაგან შემდგარი უწყვეტი მწკრივი). მე-7 სვლით შავები ქიშს უცხადებენ თეთრებს და იმარჯვებენ (ე. ი. შემდეგი სვლით ან „ბ“ ან „გ“ პუნქტებში ქმნიან ხუთეულებს).

კონკურსის მონაწილეთა უმრავლესობამ გამოგზავნა ამ ამოცანის მეორე ამოხსნა: 1-5, 2-ბ, ვ-ა, 4-3, 5-2, 6-ან1 ან 2“, 7-დ, 8-ე, ფ-გ და მოგება 4X3 — ჩანგლით.

თუ 2-7, მაშინ 3-3 და ასევე 4X3 — ჩანგლით მოგება. ეს ამოხსნა არაოპტიმალურია. მართალია, შეცდომა არ არის სწორ პასუხად ჩაითვლება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება ადგილების განაწილების დროს.



დიაგრამა № 6

**დიაგრამა № 6.** თუ 2-ა, მაშინ 3-ბ და შავები იგებენ 4X3 — ჩანგლით. თუ დიაგრამაზე ნაჩვენები მე-3 სვლის შემდეგ თეთრებმა გააკეთეს 4-7, მათ შავები პასუხობენ ასე: 5-გ, 6-ნებისმიერი, 7-ა, ხოლო თუ 4-8, მაშინ 5-4, 6-7, 7-ა. ორივე შემთხვევაში მოგება ჩანგლით — 4X3.

**გთავაზობთ მესამე ტურის ამოცანებს**



დიაგრამა № 7



დიაგრამა № 8

№ 7 და № 8 ამოცანებში თეთრები იწყებენ და იგებენ.

**სანდრო ჟორჟენაძე,**
**საბჭოთა კავშირის რენძიუს ფედერაციის მოსამზადებელი კომიტეტის რწმუნებული საქართველოში.**

---

## შედეგი არ გაუქმდა

**ჩოგბურთელთა** [illegible]-ლური გუნდური ჩემპიონატის — დევისის თასის მატჩები ბევრ ქვეყანაში არაჯანსაღ ატმოსფეროში ტარდება და ხშირად, არაობიექტური მსაჯობის გამო სკანდალური ინციდენტები მოსდევს. ასე მოხდა ამჯერად ასუნსიონში, სადაც პარაგვაის გუნდმა ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს აშშ-ს ნაკრებს სენსაციური დამარცხება მიაყენა — 3:2.

ამ შეხვედრის შედეგებზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა მონტე-კარლოში გამართულ სპეციალურ სხდომაზე იმსჯელა. დადასტურდა, რომ პარაგვაელ მაყურებლებს ტერორიზებული ჰყავდათ ამერიკელი ჩოგბურთელები, მსაჯები, მწვრთნელები და ჩამოსული სტუმრები, რომ დანიელმა არბიტრმა ვერ გაართვა თავი მოვალეობას, დამხმარე მსაჯები კი სისტემატურად ცდებოდნენ პარაგვაელ ჩოგბურთელთა სასარგებლოდ.

ხელმძღვანელმა კომიტეტმა მატჩის ანგარიში ვერ გააუქმა, მაგრამ დაადგინა: მომდევნო შეხვედრას ესპანელებთან პარაგვაის გუნდი შინ კი არა, როგორც კალენდრით იყო გათვალისწინებული, არამედ ნეიტრალურ მოედანზე ჩაატარებს.

---

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 23 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: სსრ კავშირი — ფინეთი — **18.45 (1)**; შვეცია — კანადა — **22.40 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.30 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი მოტობოლში — **21.15 (2)**.

**24 აპრილი.** დილის დაჭურვა — **8.00 (1)**; დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში: ფინეთი — შვეცია — **19.50 (2)**; სსრ კავშირი — კანადა — **22.40 (1)**; საჭადრაკო სკოლა — **21.30 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 23 აპრილი.** სპორტული გადაცემა — **20.30**.

**საქართველოს რადიო. 23 აპრილი.** რიტმული ვარჯიში — **11.40**; სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში (I ლიგა) — **22.00**.

---

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**

**(წერეთლის გამზირი № 2)**

26 აპრილი

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ფედერაციის თასი**

**„დინამო“ (თბილისი) —**

**„ნეფთჩი“ (ბაქო)**

დასაწყისი 17 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 25 და 26 აპრილს 10 საათიდან.

---

**მკითხველი — გაზეთი**

# ინდიანას მეხუთე გამარჯვება

**ძვირფასო რედაქცია! ბევრი რამ მსმენია აშშ-ს სტუდენტთა კალათბურთზე. იქნებ გაქვთ რაიმე ცნობა ბოლო ჩემპიონატზე, ვინ გაიმარჯვა და როგორ მიმდინარეობდა ტურნირი?**

**გიორგი ქავჟარაძე,**
თბილისი.

1906 წლიდან ამერიკის სტუდენტურ სპორტს სათავეში უდგას კოლეჯების ეროვნული ათლეტური ასოციაცია, რომელსაც შემოკლებით ნკაა-ს უწოდებენ. იმ შეჯიბრთა შორის, რომელსაც ეს ორგანიზაცია ატარებს, ცხადია, კალათბურთს პირველი ადგილი უჭირავს. ნკაა-ს პირველი დივიზიონის ჩემპიონის წოდება უაღრესად საპატიოდაა მიჩნეული. ჩემპიონატის ჩატარების ფორმულა მრავალსაფეხურიანი და რთულია. ჩემპიონატის კულმინაციურ წერტილად ითვლება ტურნირის ფინალური ნაწილი (პლეი ოფფ), რომელშიც მონაწილეობს ოთხ-ოთხი უძლიერესი კლუბი.

წლევანდელი ჩემპიონატის გადამწყვეტ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვეს აღმოსავლეთის კონფედერაციიდან: ჩრდილოეთ კაროლინამ, ნოტრდ-დამმა, ფლორიდამ, სირაკუზამ, დასავლეთი — ნევადა ლას-ვეგასი, ოკლაჰომა, აიოვა, უომინგი, სამხრეთ-აღმოსავლეთი: ჯორჯთაუნი, კანზასი, პროვიდენსი, ალაბამა. შუა დასავლეთი: ლუისეილე, დუკე დე პაული, ინდიანა. პირველი და მეორე ეტაპის მატჩები მიზნად ისახავს გაარკვიოს კონფედერაციის უძლიერესი გუნდის ვინაობა. დასკვნით ეტაპზე ჩემპიონატის ფორმულა მეტად მკაცრია და იგი ოლიმპიური სისტემით ტარდება.

პირველ წრეში გამარჯვებები მოიპოვეს: ინდიანამ, ჯორჯთაუნმა, ჩრდილოეთ კაროლინამ, ლუისეილემ, პროვიდენსემ, სირაკუზამ, აიოვამ, ნევადა ლას-ვეგასმა.

მეოთხედფინალური შეხვედრებიდან ყურადღების ცენტრში იყო ჩემპიონატის მთავარი ფავორიტის ინდიანასა და შარშანდელი ჩემპიონის ლუისვილეს შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით — 77:76 გაიმარჯვა ინდიანამ. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: პროვიდენსი-ჯორჯთაუნი — 88:73. ნევადა ლას-ვეგასი-აიოვა — 84:81. სირაკუზი-ჩრდილოეთ კაროლინა — 79:75.

თავიანთ კონფედერაციაში უძლიერესნი გახდნენ — აღმოსავლეთში: სირაკუზი, დასავლეთში: ნევადა ლას-ვეგასი, შუა დასავლეთში: ინდიანა, სამხრეთ-აღმოსავლეთში — პროვიდენსი.

ორივე ნახევარფინალური მატჩი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ინდიანამ 97:93 სძლია ნევადა ლას-ვეგასს, ხოლო სირაკუზმა დაამარცხა პროვიდენსი — 77:63.

ფინალურ მატჩს ინდიანასა და სირაკუზს შორის 64958 მაყურებელი დაესწრო, რაც სტუდენტური კალათბურთის რეკორდია. ფინალური მატჩი, როგორც ზაგრების „სპორტსკიე ნოვოსტი“ აღნიშნავს, ძალზე დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, რაზეც საკმაოდ კარგად მეტყველებს მატჩის ანგარიში 74:73 (34:33) ინდიანას სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ გადამწყვეტი ბურთი თამაშის დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე ინდიანას უნივერსიტეტის გუნდმა ჩააგდო და მეხუთედ (1940, 1953, 1976, 1981, 1987) გახდა ნკაას ჩემპიონი. გუნდის მწვრთნელია ბობი ნაიტი, რომელიც ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე აშშ-ის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. იგი 15 წელია სათავეში უდგას ინდიანას უნივერსიტეტის გუნდს.

**მერაბ კალანდაძე.**

---

კალათბურთის რესპუბლიკური ფედერაცია და საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორატი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე ინსტიტუტის სპორტული თამაშების კათედრის გამგე

**ანატოლი დანიელის ძე ბურჭულაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096.**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.**

**რედაქციის ტელეფონები:**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი:**
**66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06883